საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №294

15 მაისი 2015 წელი, თბილისი, საქართველო;

სხდომის გაგრძელება 2015 წლის 19 და 21 მაისს

2015 წლის 15 მაისს 12:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ნათელა სახოკია, ქეთევან მსხილაძე, ლელა გაფრინდაშვილი, მარინა მუსხელიშვილი, ალექსანდრე ვახტანგოვი და გიორგი კოხრეიძე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1.სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პროექტის განხილვა.

2. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს წევრების გარდა, ესწრებოდნენ: მაუყწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი და მაუწყებლის განვითარების სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც სხდომის მიმდინარე საკითხებში განსახილველად იყო წარმოდგენილი:გენ.დირექტორის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფას, საკითხის დღის წესრიგში შეტანაზე საბჭოს ყველა წევრმა თანხმობა გამოთქვა.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ გოგელიამ მოკლედ ისაუბრა მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილ მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პროექტის შესახებ, მან აღნიშნა, რომ დოკუმენტზე მუშაობა ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობადა, მუშაობის ერთ-ერთ ეტაპზე სამეურვეო საბჭოს წევრებიც იყვნენ ჩართულები. სტრატეგიის პროექტზე მუშაობა მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ დაკომპლექტებულმა ჯგუფმა განაგრძო და დღევანდელ სხდომაზე განსახილველად წარმოადგინა.
მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პროექტის პრეზენტაციას, თან ახლდა ეკრანზე ვიზუალური ჩვენება პროექტორის საშუალებით. პრეზენტაციის დასრულების შემდგომ,

წარმოდგენილი მაუწყებლის სტრატეგიის პროექტის შესახებ კითხვები დასვეს სამეურვეო საბჭოს წევრებმა. საკითის განხილვა ორი საათის განმავლობაში კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. საბჭოს წევრები და მენეჯმენტის წარმომადგენლები შეთახმდნენ, რომ სტრატეგიის პროექტზე მსჯელობა გაგრძელდება 2015 წლის 19 მაისს 11:00 საათზე და აღნიშნული სხდომა იქნება 2015 წლის 15 მაისის.

მეორე საკითხი

შემდგომ გრიგოლ გოგელიამ, სიტყვა გადასაცა მაუწყებლის გენ. დირექტორს, მან მოკლე ინფორმაცია გააკეთა სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნული საკითხის შესახებ, რომელიც ეხებოდა 2 ცალი სერვერის შეძენას მინიმუმ 48 ტბ.მოცულობით. მაუწყებლის გენ.დირექტორი თხოვნით მიმართავს სამეურვეო საბჭოს, მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებული „რეზერვის" მუხლიდან აღნიშნული სერვერების შესაძენი თანხის, დაფინასებაზე გადაწყვტილების მიღებას, რომელიც შეადგენს 18 000 აშშ დოლარს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, გიორგი ბარათაშვილის მიერ მოთხოვნილი საკითხის შესახებ, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შემდეგი:

„მიეცეს თანხმობა სსიპ „საზოგადოენრივი მაუწყებლის"გენერალურ დირექტორს, სსიპ „საზოგადებრივი მაუწყებლის" ბიუჯეტის სარეზერვო მუხლიდან - „რეზერვი", თანხები გახარჯოს მაუწყებლის გენ.დირექტორის მოხესნებით ბარათში მითითებული მიზნობრიობით და მოცულობით".

კენჭის ყრაზე დაყენებულ საკითხს, საბჭოს შვიდივე წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის)

შემდგომ გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს 2015 წლის 15 მაისს სხდომის გაგრძელება დაინიშნა 2015 წლის 19 მაისს 11:00 საათზე, დღის წესრიგი: მენეჯმენტის მიერ, წარმოდგენილი მაუწყებლის სტრატეგიის პროექტის განხილვა და მიმდინარე საკითხები.

2015 წლის 15 მაისის სხდომა გაგრძელდა მიმდინარე წლის 19 მაისს 11:00 საათზე.

საბჭოს წევრებმა და სტრატეგიის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა, განაგრძეს მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პოექტის განხილვა.

საბჭოს წევერბის მხრიდან იყო კითხვები: სანდრო ვახტანგოვის კითხვა ეხეობოდა მეორე არხის გარდაქმნას, თუ როგორი იქნება ის მომავალში, მარინა მუსხელიშვილის კითხვა ეხებოდა სამაუწყებლო არხებს, აუდიტორიის საჭიროებების და გემოვნების ასახვას სტრატეგიის პროექტში, გიორგი კოხრეიძის კითხვა ეხბოდა წარმოდგენილი სტრატეგიის განხორციელებას, ახალი ადამიანური რესურსებით აპირებენ თუ არსებული თანამშროლებით.

საბჭოს წევრების კითხვებს მონაცვლეობით პასუხობდნენ მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლები.

შემდგომ საბჭოს წევრები და სტრატეგიის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით საბჭოს წევრები წერილობითი სახით მოამზადებენ თუ რა კითხვები აქვთ სტრატეგიის პოექტთან დაკავშირებით და გადაუგზავნიან ჯგუფის წევრებს.

შემდგომ გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს 2015 წლის 15 მაისს სხდომის გაგრძელება დაინიშნა 2015 წლის 21 მაისს 11:00 საათზე, დღის წესრიგი: მენეჯმენტის მიერ, წარმოდგენილი მაუწყებლის სტრატეგიის პროექტის განხილვა და მიმდინარე საკითხები.

2015 წლის 15 მაისის სხდომა გაგრძელდა მიმდინარე წლის 21 მაისს 11:00 საათზე.

საბჭოს წევრებმა და სტრატეგიის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა, განაგრძეს მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პოექტის განხილვა.

21 მაისის სხდომამდე სტრატეგიის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებს მარინა მუსხელიშვილმა წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები მაუწყებლის სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით ელექტრონულ მისამართებზე სამეურვეო საბჭოს აპრატის მეშვეობით გადაუგზავნა. შენიშვნები სამ პუნქტად იყო დაყოფილი:

1. დოკუმენტის სათაურს ეხებოდა.
2. აუდიტორიის საჭიროებების და გემოვნებების ასახვას.
3. სამაუწყებლო არხებს.

მიმდინარე სხდომაზე მაუწყებლის მენეჯმენტის მხრიდანაც იყო წარმოდგენილი წერილობითი პასუხი მარინა მუსხელიშვილის შენიშვნებზე.

სხდომა გაგრძელდა წარმოდგენილი სტრატეგიის პროექტის განხილვით, გაიმართა მსჯელობა იყო აზრთა სხვადასხვაობა. საბჭოს წევრთა ნაწილი არ ეთანხმებოდა წარმოდეგნილი სახით სტრატეგიის პროექტის პირველი მოსმენით მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შემდეგი:
„ვინ არის თანახმა, რომ კენჭის ყრაზე დადგეს სტრატეგიის პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პროექტი უცვლელი სახით."

საკითხს ოთხმა საბჭოს წევრემა დაუჭირა მხარი: გრიგოლ გოგელიამ, ქეთევან მსხილაძემ, ნათელა სახოკიამ და ლელეა გაფრინდაშვილმა. საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს სამმა წევრმა : მარინა მუსხელიშვილმა, ალექსანდრე ვახტანგოვმა და გიორგი კოხრეიძემ.

საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:
„ვინ არის თანახმა, მივიღოთ პირველი მოსმენით მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პროექტი წარმოდგენილი სახით"

საკითხს ოთხმა საბჭოს წევრემა დაუჭირა მხარი: გრიგოლ გოგელიამ, ქეთევან მსხილაძემ, ნათელა სახოკიამ და ლელეა გაფრინდაშვილმა. საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს სამმა წევრმა : მარინა მუსხელიშვილმა, ალექსანდრე ვახტანგოვმა და გიორგი კოხრეიძემ.

მეორე საკითხი

შემდგომ გრიგოლ გოგელიამ, სიტყვა გადასცა მაუწყებლის გენ. დირექტორს, მან მოკლე ინფორმაცია გააკეთა სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნული საკითხის შესახებ, რომელიც ეხებოდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" I, II და III კორპუსების შენობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და შესაბამისი

რეკომენდაციების მოსამზადებლ საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან“ . ხელშეკრულების საორიენტაციო თანხა შეადგენს - 31 330 ლარს.

მაუწყებლის გენ.დირექტორი თხოვნით მიმართავს სამეურვეო საბჭოს, მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცებული „რეზერვის“ მუხლიდან აღნიშნული მომსახურების თანხის, დაფინასებაზე გადაწყვტილების მიღებას, რომელიც შეადგენს 31 330 ლარს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, გიორგი ბარათაშვილის მიერ მოთხოვნილი საკითხის შესახებ, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შემდეგი:

„მიეცეს თანხმობა სსიპ „საზოგადოენრივი მაუწყებლის“გენერალურ დირექტორს, სსიპ „საზოგადებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის სარეზერვო მუხლიდან - „რეზერვი“, თანხები გახარჯოს მაუწყებლის გენ.დირექტორის მოხესნებით ბარათში მითითებული მიზნობრიობით და მოცულობით“.

კენჭის ყრაზე დაყენებულ საკითხს, საბჭოს შვიდივე წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის)

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობათ.

საბჭოს თავმჯდომარე — გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი — ირინე ზაქარიაშვილი